პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 1 მაისი, № 88 (7561). ფასი 20 კაპ.

## გაუმარჯოს 1 მაისს—ყველა ქვეყნის მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღეს!

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა № 7

1946 წლის 1 მაისი — ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო და ზემდეგებო! ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელნო!

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ დღეს ჩვენ პირველად ვატარებთ პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში, რომელიც მოვიპოვეთ მტრებთან მძიმე ბრძოლით, დიდი მსხვერპლისა და გაჭირვების ფასად.

ერთი წლის წინათ წითელმა არმიამ გამარჯვების დროშა ააფრიალა ბერლინში და დაამთავრა ფაშისტური გერმანიის განადგურება. გერმანიასთან ომის ძლევამოსილად დამთავრების ოთხი თვის შემდეგ იარაღი დაჰყარა იმპერიალისტურმა იაპონიამ. საერთაშორისო რეაქციის ძალებით მომზადებული და მთავარი ფაშისტური სახელმწიფოების მიერ გაჩაღებული მეორე მსოფლიო ომი თავისუფლებისმოყვარე ხალხთა სრული გამარჯვებით დამთავრდა.

ფაშიზმისა და მსოფლიო აგრესიის ძირითადი კერების განადგურებამ და ლიკვიდაციამ გამოიწვია ღრმა ცვლილებები მსოფლიოს ხალხთა პოლიტიკურ ცხოვრებაში, უზრუნველჰყო ხალხთა შორის დემოკრატიული მოძრაობის ფართო ზრდა. ომის გამოცდილებით ხალხის მასებმა შეიგნეს, რომ სახელმწიფოთა ბედი არ შეიძლება მიენდოს რეაქციულ მმართველებს, რომლებიც ვიწრო-კასტურ და ანგარებით აღსავსე, ხალხის საწინააღმდეგო მიზნებს ისახავენ. სწორედ ამიტომ ხალხები, რომლებსაც აღარ სურთ ძველებურად იცხოვრონ, საკუთარ ხელში იღებენ თავიანთ სახელმწიფოთა ბედს, ამყარებენ დემოკრატიულ წესებს და აქტიურ ბრძოლას ეწევიან რეაქციის ძალების წინააღმდეგ, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ

მსოფლიოს ხალხებს არ სურთ, რომ ომის უბედურება განმეორდეს. ისინი შეუპოვრად იბრძვიან მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის ავანგარდში დგას საბჭოთა კავშირი, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ფაშიზმის განადგურებაში და განახორციელა თავისი დიადი განმათავისუფლებელი მისია.

საბჭოთა კავშირის მიერ ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებულმა ხალხებმა შესაძლებლობა მიიღეს აშენონ თავიანთი სახელმწიფოებრივი ცხოვრება დემოკრატიულ საფუძვლებზე, განახორციელონ თავიანთი ისტორიული მისწრაფებანი. ამ გზაზე მათ საბჭოთა კავშირი ძმურ დახმარებას უწევს.

მთელ მსოფლიოს შესაძლებლობა ჰქონდა დარწმუნებულიყო არა მარტო საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებაში, არამედ იმაშიც, თუ რა სამართლიან ხასიათს ატარებს მისი პოლიტიკა, რომელიც დამყარებულია ყველა ხალხთა თანასწორუფლებიანობის აღიარებაზე, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი პატივისცემაზე. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც ერთგულად დაიცავს თავის პოლიტიკას, მშვიდობისა და უშიშროების პოლიტიკას, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირი ომის დამთავრებისთანავე შეუდგა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას. საბჭოთა ადამიანები აღფრთოვანებით შეუდგნენ ომით შეწყვეტილ მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სახავს ჩვენი სამშობლოს საწარმოო ძალების შემდგომი ზრდის, მისი ეკონომიური ძლიერების ზრდის, მისი მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის აღმავლობის ახალ პერსპექტივებს.

ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ ხუთწლიანი გეგმა მიიღეს როგორც საბრძოლო პროგრამა, რომელიც მათს საარსებო ინტერესებს შეესაბამება. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ საბჭოთა ადამიანები, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, არ დაიშურებენ ძალებსა და შრომას იმისათვის, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ახალი ხუთწლედი.

ვაჩაღებთ რა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას, ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ხრიკები საერთაშორისო რეაქციისა, რომელიც გულში ატარებს ახალი ომის გეგმებს. საჭიროა გვახსოვდეს დიდი ლენინის მითითება, რომ, გადავდივართ რა მშვიდობიან შრომაზე, მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებსა და თავდაცვისუნარიანობას.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა — ჩვენმა სახმელეთო ჯარებმა, საძხედრო-საჰაერო ძალებმა და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა — შეასრულეს თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე დიდ სამამულო ომში.

ახლა ჩვენი შეიარაღებული ძალების წინაშე დგას არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — ფხიზლად დაიცვან მოპოვებული მშვიდობა და საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომა, იყვნენ საბჭოთა კავშირის ინტერესთა საიმედო დასაყრდენი.

ამ საპატიო ამოცანის წარმატებით შესრულება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი არმიის, ჩვენი ფლოტის, ჩვენი ავიაციის მებრძოლთა და მეთაურთა სამხედრო კულტურისა და სამხედრო ოსტატობის შემდგომი ზრდის პირობით.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, ომის გამოცდილების საფუძველზე, სამხედრო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საფუძველზე, დღითიდღე უნდა აიმაღლონ თავიანთი სამხედრო ხელოვნების დონე.

შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ჩვენი არმია, ჩვენი ფლოტი და ჩვენი ავიაცია ღირსეულად შეასრულებენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო და ზემდეგებო! ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო მუშებო, გლეხებო, ინტელიგენტური შრომის ადამიანებო!

წითელი არმიის რიგებიდან დემობილიზებულო მეომრებო!

მთავრობისა და კომუნისტური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ პირველი მაისის დღეს!

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის აღსანიშნავად —

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

დღეს, 1 მაისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე ლვოვში, კენიგსბერგში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში, პორტ-არტურში და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

**სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი**
**საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი ი. სტალინი**



## საბჭოთა მეტალურგების წარმატებანი

შავი მეტალურგიის სამინისტროში შეჯამებულია აპრილის მუშაობის წინასწარი შედეგები. გასულ თვეში შავი მეტალურგიის საწარმოები უკეთ მუშაობდნენ, ვიდრე წინა თვეებში და გადაჭარბებით შეასრულეს მთელი მეტალურგიული ციკლის გეგმა. გეგმის შესრულება შეადგენს: თუჯის დნობაში—102,7 პროცენტს, ფოლადის დნობაში—107,5 პროცენტს, ნაგლინის წარმოებაში—105,2 პროცენტს, მილებისა—103,5 პროცენტს, კოქსის გამოწვაში—100,6 პროცენტს.

## რკინიგზელთა საპირველმაისო საჩუქრები

მოსკოვში იაროსლავლის ვაგზლის პერონებთან დგას სამი სამგზავრო შემადგენლობა. ეს იაროსლავლის გზის მოსკოვის სამგზავრო განყოფილების მუშაკთა მიერ მომზადებული ახალი სანიმუშო მატარებლებია. შემადგენლობათა ვაგონები ელვარებენ ცისფერი და მწვანე საღებავით. ისინი შიდა კარგი მორთულობითაც გამოირჩევიან. თვითეულ შემადგენლობაში არის საერთაშორისო, რბილი, ოფიცერთა და პლაცკარტიანი ვაგონები. ეს მატარებლები შეაკეთეს გამყოლთა ლუნინურმა ბრიგადებმა სავაგონო უბნის სტახანოველებთან ერთად და ააწყეს იმ ვაგონებისაგან, რომლებიც უვარგისად ითვლებოდნენ.

2 მაისს პირველი სანიმუშო შემადგენლობა წავა მოსკოვ-ვლადივოსტოკის მარშრუტით. მას იმავე გზით გაჰყვება ორი სხვა მატარებელი. განყოფილების კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გამარჯვების დღისათვის მოამზადოს კიდევ სამი ასეთი შემადგენლობა.

(საკდესი).

## 509 ვაგონი ქსოვილი მოსახლეობისათვის

**ივანოვო**, 30 აპრილი. (საკდესი). ყოველდღიურად სადგურ ივანოვოდან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში იგზავნება შალეულით, ჩითეულით და სელის ქსოვილით დატვირთული მატარებლები მოძმე რესპუბლიკებისა და აღორძინების პროცესში მყოფი დასავლეთის ოლქების მოსახლეობისათვის.

მარტო აპრილში ფეიქრებმა უკრაინის სს რესპუბლიკაში გაგზავნეს 17 მილიონი მანეთის სატინი, მაია, ბატისტი, ნარმა, ფლანელი. ამ ხნის განმავლობაში 3,5 მილიონი მანეთის ქსოვილი გაეგზავნა ბელორუსიის, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკების მშრომელებს, ორი მილიონი მანეთისა — სტალინგრადის მშენებლებს. სულ ამ უკანასკნელი თვის განმავლობაში ივანოვოს ფეიქრებმა გაგზავნეს 509 ვაგონი სხვადასხვა ფართალი.

## 12 ეშელონი ქვანახშირი გეგმის გადამეტებით

**ირკუტსკი**, 30 აპრილი. (საკდესი). სამაისო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების საფუძველზე ჩერემხასის მაღაროელებმა ვადამდე შეასრულეს აპრილის გეგმა და 12 ეშელონი ქვანახშირი მისცეს ჩვენს ქვეყანას თვიური პროგრამის გადამეტებით.

## სასოფლო ელექტროსადგურთა მშენებლობა

**ბაქო**, 30 აპრილი. (საკდესი). ნახჭევანის ასს რესპუბლიკის დიდ სოფლებში ნეგრამში, თაზაკენდსა და აბრაკუნისში პირველი მაისის წინადღეს აენთო ელექტრონათურები. ტრესტმა „კავკასენერგომშენმა“ დაამთავრა სამი თბოელექტროსადგურის აგება აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXVI წლისთავისათვის. გაჩაღებულია კიდევ ორი ჰიდროსადგურის მშენებლობა. ბაქოს უდიდესმა საწარმოებმა, რომელნიც შეფობას უწევენ რესპუბლიკის სოფლებს, ვალდებულება იკისრეს წელს ააგონ 62 ელექტროსადგური, რომლებიც ენერგიას მისცემენ 75 კოლმეურნეობას. ტრესტი „კაგანოვიჩნეფტი“ ორ სადგურს აშენებს ყაზახის რაიონში, ტრესტი „სტალინნეფტი“ — კედაბეკის რაიონში.

* * *

**რიგა**, 30 აპრილი. (საკდესი). დამთავრდა ზვირგედენის სოფლის ჰიდროელექტროსადგურის აღდგენა. იგი ელექტროენერგიას მიაწვდის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს, წისქვილებს და უახლოეს გლეხურ მეურნეობებს. მთავრდება კიდევ ორი მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ელექტროფიკაცია. ლატვიის სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და ლატვიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით წელს ამუშავდება ოთხი სასოფლო ჰიდროელექტროსადგური. გარდა ამისა, აღდგენილ იქნება 5 თბოელექტროსადგური. მაღალვოლტიან ქსელში ჩართვით რესპუბლიკაში ელექტროფიცირებულ იქნება 20 მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

## ლითონის კონსტრუქციების ახალი ქარხანა

**ბაქო**, 30 აპრილი. (საკდესი). აქ შენდება ლითონის კონსტრუქციების დიდი ქარხანა. იგი გამოუშვებს ნავთის შედუღებულ კოშკურებს, შადრევან-კომპრესორისა და ღრმა სატუმბავ დანადგარებს. საწარმოში პირველად იქნება გამოყენებული ავტომატური შედუღება აკადემიკოს პატონის მეთოდით. მთელი შიდა და საამქროთაშორისო ტრანსპორტი ელექტროფიცირებულ იქნება.

## დნეპრზე ახალი სარკინიგზო ხიდი შენდება

**დარნიცა**, 30 აპრილი. (საკდესი). დაიწყო დნეპრზე ახალი სარკინიგზო ხიდის მშენებლობისათვის მზადება, ნაცვლად ჰიტლერელი დამპყრობლების მიერ დანგრეული ხიდისა. დნეპრის მარცხენა და მარჯვენა ნაპირების საამშენებლო მოედნებზე მუშაობენ მჭედლები, საზეინკლო, ელექტრომექანიკური სახელოსნოები. საფუძველი ჩაეყარა ორ მძლავრ სახერხს ხე-ტყის ქარხანაში, რომელიც უზრუნველჰყოფს მშენებლობას ხე-ტყის მასალით, იმ გზით, რომელიც მარჯვენა ნაპირს აერთებს კიევ-მოსკოვის სადგურთან, გაიგზავნა მშენებლობისათვის განკუთვნილი ცემენტის, ხე-ტყის, ქვის პირველი ვაგონები.

ახალი ხიდი აგებულ იქნება რკინითა და ბეტონით. დნეპრის ფარვატერის თავზე, სადაც გემები გაივლიან, აღიმართება სამი 109-მეტრიანი ლითონის წამწე.

# იდიდე მარად, ჩვენო სამშობლოვ, გმირთა კერა ხარ გაუქრობელი. ქვეყანას მიეც დიდი სტალინი, ხალხთა მონობის დამამხობელი.

## შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

ასურეთის მტს-ის კოლექტივი წარმატებით ხვდება მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღეს—პირველ მაისს.

სამამულო ომის წლებში მტს-ს ორჯერ აქვს მიღებული საკავშირო და ერთხელ რესპუბლიკური წითელი დროშა. გასული წლის შემოდგომაზეც მტს-ი დაჯილდოებულ იქნა 10.000 მანეთით. წელს გაზაფხულზე პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს გადაწყვეტილებით მტს-ს გადაეცა საკავშირო წითელი დროშა და 20.000 მანეთი ჯილდო.

მტს-მა წარმატებებს მიაღწია სოციალისტური შეჯიბრების, სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლით. ყველა ბრიგადა, ტრაქტორისტი, კომბაინერი, სახელოსნოს მუშაკი გამსჭვალულია ერთი აზრით — მთლიანად გამოიყენოს არსებული შესაძლებლობანი, მიაღწიოს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მაღალნაყოფიერ მუშაობას, მიწის დამუშავების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსავლიანობის გადიდებას.

1945 წლის სამუშაოთა გეგმები მტს-ის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა: საგაზაფხულოდ და საშემოდგომოდ 3.700 ჰექტარის ნაცვლად 4.629 ჰექტარი მოხნა, ხოლო მოსავალი კომბაინებით 2.300 ჰექტარის მაგიერ 3.299 ჰექტარზე აიღო; ასეთივე დიდი გადაჭარბებით შეასრულა მტს-მა თესვის, ფარცხვის, კულტივაციის და სხვა სამუშაოთა დავალებანი. წლის მანძილზე გეგმის გადამეტებით რბილ ხვნაზე გადაყვანით დამუშავებულია 2.000-მდე ჰექტარი მიწა და დაზოგილია 18.900 კილოგრამი საწვავი.

ასეთივე წარმატებებია მოპოვებული მიმდინარე წელსაც: ყველა სახის რემონტი მთავრობის მიერ დადგენილი 5 მარტის მაგიერ 24 თებერვლისათვის დამთავრდა. ამით მტს-მა გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მტს-ის კოლექტივი საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის ყოველმხრივ მოემზადა. აქ გადაწყვეტილი აქვთ წელს ომამდელი ფართობი მთლიანად აითვისონ და ერთიორად გაადიდონ მარცვლეულის, კარტოფილის, მზესუმზირას მოსავალი. კარგადაც დაიწყეს საქმე. გეგმით გათვალისწინებული 1.200 ჰექტარის ნაცვლად მტს-მა 1.400 ჰექტარი დასთესა. წარმატებით სრულდება კულტივაციისა და ჯეჯილის ფარცხვის სამუშაოებიც.

მტს-ის 38-ვე ტრაქტორი შეუფერხებლად მუშაობს საკოლმეურნეო მინდვრებზე. მეოთხე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც გ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობს, სამუშაოთა ნორმებსაც აჭარბებს და საწვავსაც ზოგავს. ბრიგადამ ვადამდე დაამუშავა 800-მდე ჰექტარი და დაზოგა 150 კილოგრამი საწვავი. წარმატებით მუშაობენ ა. დალაქიშვილის, ა. მიკირტუმაშვილის, ს. ჯადოევის და სხვათა ბრიგადები. ტრაქტორისტმა გ. დალაქიშვილმა „უნივერსალით" წლიური გეგმით გათვალისწინებული 200 ჰექტარიდან უკვე დაამუშავა 160 ჰექტარი და ნახევარ ტონამდე საწვავის ეკონომია გასწია. ტრაქტორისტი ა. მენთეშაშვილი დღეში 4,6 ჰექტარის ნაცვლად 8 ჰექტარს სთესავს, ი. პეტრიაშვილი 7-ის ნაცვლად 13 ჰექტარს.

თეთრი წყაროს რაიონის ასურეთის მტს-ის კოლექტივი (დირექტორი ს. ლაზბი, პარტორგანიზაციის მდივანი შ. ბექაური, უფროსი მექანიკოსი დ. დარჯანია) პირობას იძლევა მანქანა-ტრაქტორთა პარკის საუკეთესოდ გამოყენებით წელს გეგმის გადამეტებით დასთესოს 400-მდე ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, უდანაკარგოდ აიღოს მოსავალი, წლიურ სამუშაოთა გეგმა შეასრულოს ვადამდე 5 პროცენტის გადაჭარბებით, დაზოგოს საწვავის 3 პროცენტი, სამუშაოთა თვითღირებულება შეამციროს სულ ცოტა 5 პროცენტით, მოამზადოს 11 მექანიკოსი, კომბაინერი, კომბაინერის თანაშემწე და რემონტის მუშა.

ასურეთის მტს-ს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს თელეთის მტს-ი.

ეჭვი არ არის, მტს-ის მუშაკები სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლით უზრუნველჰყოფენ ახალ-ახალ საწარმოო გამარჯვებებს.

ტ. თოდრაძე
შ. ჭოჭუა
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტები

## დ ი ა დ ი დ ღ ე ე ბ ი

— წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის!

ასე მოგვიწოდა ჩვენმა ბელადმა უმაღლესმა მთავარსარდალმა ამხანაგმა **სტალინმა** სამამულო ომის დაწყების პირველსავე დღეებში.

მას შემდეგ ბევრი მრისხანე დღე, ბევრი გაჭირვება და ტანჯვა გამოვიარეთ. დროებითი უკანდახევის სიმწარე გვიასკეცებდა გამარჯვების მოპოვების სურვილს და ბრძოლის ველზე დაღუპული და განაწამები ადამიანების სისხლი მოგვიწოდებდა შურისძიებისაკენ.

არ ყოფილა ბრძოლის და შრომის არც ერთი უბანი, არ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში ისეთი კუთხე, სადაც ფრონტისა და ზურგის მებრძოლებს არ ასულდგმულებდა ერთი ფიქრი:

— მოვსპოთ ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში და გამარჯვების დროშა ავაფრიალოთ ბერლინში!..

გამარჯვების დროშის აფრიალება ბერლინში სიმბოლო იყო ჩვენი ქვეყნის უბოროტესი მტრის — გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებისა, ჩვენი მიწა-წყლის განთავისუფლებისა, ჩვენი ხალხის ბედნიერებისა.

და როდესაც ფაშისტური გერმანიის დედაქალაქ ბერლინს ფოლადის რკალად შემოერტყა 22 ათასი საბჭოთა ქვემეხი, როდესაც ასიათასობით საბჭოთა ტყვიამფრქვევს, ავტომატს, ნაღმსატყორცნსა და შაშხანას სამიზნოზე აღებული ჰქონდა რაიხსტაგის გუმბათი, ერთი ფიქრით და სურვილით ძგერდა მოსკოვიდან და სტალინგრადიდან, კავკასიიდან და სევასტოპოლიდან, ლენინგრადიდან და ოდესიდან ბრძოლებით იქ მისულ ვაჟკაცთა გული. აქ იყვნენ რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები, უზბეკები და თათრები, იყვნენ ყველანი, ვინც თავისი მედგარი ბრძოლით მოიპოვა საპატიო უფლება მონაწილეობა მიეღო ბერლინის უკანასკნელ იერიშში.

ბევრი ქართველი ამაყობს ბერლინის ისტორიულ ბრძოლებში მონაწილეობით. მათგან ბევრი ცნობილია მთელ ჩვენს ქვეყანაში. ესენი არიან საბჭოთა კავშირის გმირები გერმანე კილასონია, კარლო მებაღიშვილი, ოთარ ჩიჩელაშვილი. ესენი არიან პოლკოვნიკი ი. ბაჩაკაშვილი და მებრძოლი მელიტონ ქანთარია, რომელსაც წილად ხვდა ხორცი შეესხა მილიონების ოცნებისათვის — თავის თანამებრძოლ ეგოროვთან ერთად რაიხსტაგის გუმბათზე საბჭოთა დროშა—გამარჯვების დროშა აეფრიალებინა.

მაგრამ იქ, ფაშისტური ბუნაგის კედლებთან, იბრძოდა კიდევ ბევრი ქართველი, რომელთა სახელი არ არის ფართოდ ცნობილი. მათაც, ამ უჩინარმა მამაცებმაც ხომ ასახელეს თავიანთი სამშობლო და ბრძოლების ძნელი გზით მიაღწიეს გამარჯვებას.

მახარაძის რაიონის მკვიდრებმა სერჟანტმა სერგო კირილეს-ძე ჩხარტიშვილმა და დავით არტემის-ძე ურუშაძემ ორიოლთან მიიღეს საბრძოლო ნათლობა. მათ ბრძოლებით გაიარეს უკრაინა, გადალახეს ვისლა და შეიჭრნენ გერმანიის ტერიტორიაზე. ოდერის გადალახვის დროს ურუშაძე მძიმედ დაიჭრა. ჩხარტიშვილმა გაიყვანა მეგობარი ბრძოლის ველიდან და თვითონ დაბრუნდა შურისსაძიებლად. ბერლინის მისადგომებზე ჩხარტიშვილიც დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია და სხვებთან ერთად შეიჭრა ბერლინში.

1945 წლის მაისის ბოლო რიცხვებში რედაქციაში მოვიდა წერილი ბერლინიდან. წერილს ხელს აწერდა უფროსი ლეიტენანტი სპირიდონოვი. კონვერტში იყო სურათიც — საბრძოლო დროშასთან დგას ულვაშიანი ჯარისკაცი ავტომატით. უფროსი ლეიტენანტი გვწერს: გიგზავნით ქართველი ხალხის მამაცი შვილის ბაგრატ დევნოსაძის სურათს, რომელიც გადაღებულია გამარჯვების დღეს, 9 მაისს, რაიხსტაგის წინ შემდგარ მიტინგზე.

ბაგრატ დევნოსაძემ მონაწილეობა მიიღო ბერლინის იერიშში და რაიხსტაგის აღებაში. მის საბრძოლო ანგარიშზე 200 მოკლული ჰიტლერელი ითვლება.

ბერლინის იერიშში მონაწილეობა მიიღეს გვარდიის ლეიტენანტმა ვლადიმერ ჯულაშვილმა, გვარდიის უმცროსმა სერჟანტმა შოთა ქარქაშაძემ, გვარდიის წითელარმიელებმა დავით დონაძემ და ვასილ რობაქიძემ, გვარდიის უფროსმა სერჟანტმა მურად ხინიკაძემ, გვარდიის სერჟანტმა პავლე ბრეგვაძემ. მათ თავიანთი გვარდიული დროშა ქალაქ კალინინიდან მიიტანეს გერმანიის დედაქალაქში.

ცხარე ბრძოლებში, რომლებიც სწარმოებდა 23 აპრილიდან 2 მაისამდე ბერლინის მისადგომებზე, მის უბნებსა და ქუჩებში, მონაწილეობა მიიღეს არტემ სიმონის-ძე მამულაშვილმა და გედევან აპოლონის-ძე ცინცაძემ. ბევრი მძიმე დღე გადაიტანეს მათ ომის განმავლობაში. ისინი იცავდნენ ლენინის ქალაქს და მისი ბლოკადის მოხსნის შემდეგ მონაწილეობდნენ ესტონეთისა და ლატვიის განთავისუფლებაში. გამარჯვების დღე მათ ბერლინში იზეიმეს.

კავკასიის ამაყი მთებიდან მძაფრი ბრძოლებით ალსავსე გზა გაიარა ზემდეგმა დიმიტრი დიომიდეს-ძე ქუტიძემ. კავკასიისა და ყუბანის განთავისუფლების შემდეგ იგი იბრძოდა ბელორუსიის ტყეებში, საბჭოთა ლიტვაში. სამხრეთ პრუსიაში გერმანელთა თავდაცვის გარღვევის დროს, როცა მისი ქვემეხის მეთაური მწყობრიდან გამოვიდა, მან იკისრა მეთაურობა და ბრძოლა ბოლომდე მიიყვანა. ქუტიძე დაჯილდოებულია 7 ორდენითა და მედლით, მიღებული აქვს დიდი სტალინის რვა მადლობა.

ნიკოლოზ ხოდუსოვი აფხაზეთის მკვიდრია. ომამდე იგი კოდორის ხე-ტყის სახერხ კომბინატში მუშაობდა. მან მონაწილეობა მიიღო გმირ ქალაქ ოდესის დაცვაში 1941 წელს, შემდეგ იბრძოდა ქერჩში, იცავდა სტალინგრადს, ხოლო როცა ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ მამაცმა მზვერავმა გერმანიის მიწა-წყალზე შესდგა ფეხი, მას უკვე მიღებული ჰქონდა საბჭოთა კავშირის გმირის ნიშანი „ოქროს ვარსკვლავი". ომის განმავლობაში მისმა მზვერავებმა ხელთ იგდეს 500-ზე მეტი გერმანელი. როცა ხოდუსოვი ბრძოლებით შევიდა ბერლინში, მას მკერდზე უბრწყინავდა 11 ორდენი და მედალი, მიღებული ჰქონდა დიდი სტალინის 21 მადლობა.

1945 წლის 24 ივნისს გამარჯვების პარადის მონაწილეთა შორის ხოდუსოვიც იყო.

* * *

რაიხსტაგის ნანგრევებიდან სამასი მეტრის მანძილზე აღმართულია მონუმენტური ნაგებობა — ძეგლი საბჭოთა გმირი მეომრებისა, რომლებიც დაეცნენ ბერლინისათვის ბრძოლებში. მიდამოს ამაყად დასცქერის მაღალი ობელისკი, რომელზეც დადგმულია გამარჯვებული წითელარმიელის უზარმაზარი ფიგურა. იგი თითქოს მოაბიჯებს მხარზე შაშხანაგადაკიდებული. ეს ძეგლი მუდამ მოაგონებს შთამომავლობას საბჭოთა მეომრების უკვდავ სახელს, საბჭოთა ხალხის სულის სიდიადეს, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას.

ძეგლის მოედნის გარშემო დარგულია ხეები, გაშენებულია ყვავილნარი. ძეგლის წინ დგას ორი პაუბიცი, რომლებიც რაიხსტაგს უშენდნენ. ორ დიდ ქვის ფილაზე დადგმულია ბერლინის იერიშის მონაწილე ორი ტანკი. მონუმენტისაკენ მიიმართება ქვის კიბე. ძეგლის ორივე მხარეს განლაგებულ ექვს ოთხწახნაგოვან სვეტზე ბრინჯაოს ასოებით წარწერილია ბერლინის აღების დროს დაღუპულ გმირთა სახელები.

ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბერლინში დაღუპულ გმირთა ეს ძეგლი ააგო ქართველმა ინჟინერმა გვარდიის კაპიტანმა ბიძინა ნიკოლოზის-ძე ინდუაშვილმა. მან დიდი გზა გაიარა სტალინგრადიდან ბერლინამდე. და აქ წილად ხვდა ამ ისტორიული ძეგლის აშენება.

* * *

დღეს პირველი წლისთავია ბერლინის აღებისათვის წარმოებული იმ დიადი ბრძოლებისა, რომლებმაც კაცობრიობის ისტორიაში უკვდავი სახელი მოუხვეჭეს საბჭოთა იარაღს. ერთი წელი სრულდება, რაც შესწყდა ქვემეხების გრიალი ბერლინში. ერთი წელია, რაც განადგურდა ფაშისტთა ბუნაგი და საბჭოთა მშვიდობისმოყვარე ხალხმა ბრძოლის იარაღი კვლავ შესცვალა შრომის იარაღით. თაობებს არ დაავიწყდებათ სახელები იმ გმირებისა, რომლებმაც ოთხი წლის მანძილზე არ დახარეს საბჭოთა დროშა, გმირთა სისხლით შეღებილი და მტრის ტყვიებით დაცხრილული, ამაყად მიიტანეს იგი მტრის უკანასკნელ თავშესაფარამდე — ქალაქ ბერლინამდე.

და დღეს მოზეიმე საბჭოთა ხალხს კვლავ წინ მიაქვს თავისუფალი, მშვიდობიანი შრომის დიადი დროშა, კვლავ მოგვიწოდებს საყვარელი ბელადის დიდი სტალინის აღმაფრთოვანებელი ხმა:

— წინ, ახალ-ახალი გამარჯვებისათვის!

**ნინო მშველიძე**

**ირ. აბაშიძე**

## მაისი

ჩვენი მაისი;
ჩვენთან დაუხვდა
და თვით ბერლინში მტერი დაჰხუთა,
მან განკვნა ცხრაასორმოცდახუთი
დიდ გამარჯვების ორმოცდახუთად.

ბერლინს მოჰგლიჯა დროშა მოხვრილი
და ზედ სტალინის დროშა დაჰკიდა;
მან გამარჯვება ძლევამოსილი
ქვეყნებს ახარა რაიხსტაგიდან.

ჩვენი მაისი,
ჩვენი გმირული
სულის მშვიდობა, გულთა მნახველი,
ჩვენი მაისი, ჩვენთვის პირველი,
მტრისთვის მაისი უკანასკნელი.

ვაშა მშვიდობას, ვაშა მშვიდობას,
ახლა სიძნელეც არღა გვეძნელოს;
ჩვენი ბელადის ვსვამ სადიდებელს,
ვაშა, მოძმენო, ამ სადღეგრძელოს!

## ლეონიდე ბორისკინმა წლიური ნორმა შეასრულა

**დონსკოი**, 29 აპრილი. (საკდესი). „დონსკოი უგოლის" ტრესტის № 30 შახტში შეაჯამეს საპირველმაისო შეჯიბრების შედეგები. პირველობა მოიპოვა ლეონიდე ბორისკინმა. ქვანახშირის ოსტატმა გაანადგურა თავისი ვალდებულებანი და პირველი მაისის დღესასწაულს ეგებება წლიური ნორმის 100,2 პროცენტით შესრულებით.

## 5 წლიური ნორმისათვის

მოსკოვს სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსულმა დონბასის წარჩინებულმა გამთხრელმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ლუკა ტიხონის-ძე გოლოკოლოსოვმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სთქვა:

— 1 მაისისათვის ლავების გაჭრაზე მე გავაკეთე 500 მეტრი, ოთხი თვის გეგმა შევასრულე 656 პროცენტით. მახარებს აგრეთვე ჩემი მოწაფეების—კომკავშირელ ბელიკოვის, იაკოვენკოს, კრიუკოვის და სხვების წარმატება. ყველა ისინი ყოველთვიურად ასრულებენ ერთნახევარ-ორ-ორ ნორმას.

„ფრუნზეუგოლის" ტრესტის ჩვენი № 28 შახტი „ვენგეროვკა" პატარა შახტია, მაგრამ მისი მაგალითოთაც შეიძლება დავინახოთ, რომ დონბასის ქვანახშირის მუშაკები ყოველთვიურად ადიდებენ სათბობის ამოღებას.

ჯერ კიდევ 1943 წელს შახტი დღეში იძლეოდა 200 ტონა ქვანახშირს. ახლა კი ჩვენ ვიძლევით 580 ტონას, ხოლო 2-3 თვის შემდეგ დღიურ გამომუშავებას გავადიდებთ 750 ტონამდე. ქვანახშირის ამოღების ზრდა ძირითადად ხდება სანგრევთა ხაზის გადიდებისა და მექანიზაციის გზით.

პირადად მე არმიიდან შახტში მოვედი 1943 წლის შუახანებში. მალე ლავების გაჭრაზე შევცვალე 6 კაცი და შემდეგ მარტო ვაკეთებ ამ სამუშაოს. როგორც წესი, ყოველწლიურად ვასრულებ დაახლოებით 5 ნორმას. ბუნებრივია, რომ ჩემი ხელფასიც დიდია — 12 ათასამდე მანეთი თვეში.

ჩემი გეგმები უახლოესი დროისათვის: გამოვიმუშაო 1946 წელს სულ ცოტა 5 წლიური ნორმა, გავწვრთნა 10 ახალგაზრდა მეშახტე. გარდა ამისა, სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს დავალებით, გავემგზავრები დონბასის მთელ რიგ დიდ შახტებში, რათა მეშახტეებს გავუზიარო ჩემი გამოცდილება. (საკდესი).

## ვარდობისთვე ალავერდში

ახალგაზრდა ქალია ქეთევან მაღრაძე. მკვირცხლია როგორც ყოველი იმერელი, — მოსიყვარულე, საქმეში ღრმად ჩახედული. მძიმე მდგომარეობიდან ყოველთვის იპოვის გამოსავალს. ერთადერთი შვილი ჰყავს, ექვსი წლის ვაჟი. ამ მოუსვენარი ბავშვის მამა ერმალოზ ყანჩაველი უკრაინაში, ხარკოვისათვის ბრძოლაში დაეცა გმირულად... სისხლით, საერთო მტრის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში დაღვრილი სისხლითაა უკრაინელთა და ქართველთა მეგობრობა შედუღებული. ამ უმტკიცესმა მეგობრობამ დაგვიბრუნა კვლავ დიდ ოჯახში უკრაინის ნოყიერი ველები და დონბასის მაღაროები. ამ მეგობრობამ იხსნა გავერანებისაგან საქართველოს ბაღნარები, ქალაქები და სოფლები.

ახლა დიდი გაზაფხულის ვარდობისთვე მობრძანდება უკრაინასა და საქართველოში. ფოთლებს იშლიან თეთრი და წითელი, ფერად-ფერადი ყვავილები, ქლერტულებენ კუდმაკრატელა მერცხლები და ფრინველთა ჟივილ-ხივილში ცისკრიანდება... ხარკოვის გარეუბანში ცოცხალი ყვავილებით შეამკობენ საძმო საფლავს, დიდების ჰიმნს უმღერებენ მშობლიურ მიწაში მწოლარე დევგმირებს, ჩასძახებენ—ჩვენს სამშობლოში ისევ დადგა მშვიდი, უშფოთველი გაზაფხული, ავყიასა და უსახურს არ ათელვინებენ ვარდყვავილებს, მშვიდობიანმა შრომამ გაშალა ფრთები!.. და ხარკოვის გარეუბნის საძმო საფლავში დიდების ძილით მიძინებული ქართველი ვაჟკაცი ყანჩაველი იგრძნობს მშობლიურ სიყვარულს; თითქოს მისი პირმშო ექვსი წლის ვაჟიშვილი და მეუღლე ქეთევან მაღრაძე მისულიყვნენ მის საფლავზე, მიეტანოთ ეს ნექტარით სავსე თეთრი და წითელი ვარდები, ანდა აქ, ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდში მოლზე იწვეს და სიყვარულით გასცქეროდეს ქოჩრიან გორმაღლებს.

* * *

ალავერდში არის პატარა მდინარე—ღარიკარი. სწორედ დღეს, პირველ მაისს, იგი შუქად შეიჭრება ორმოცდაათი კოლმეურნის ოჯახში. მაღალ დაქანებასთან შეაგუბეს მდინარე და პატარა ელსადგური აღმართეს.

როგორც კი ფეხს გადგამ ზესტაფონიდან აღმოსავლეთით, განზე დასტოვებ მღვრიე ყვირილას თავისი მოქანავე ბონდის ხიდებით — თვალწინ გადაიშლება გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ვენახები. აქედან იწყება ალავერდი—ზემო იმერეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი.

მწვანით შემოსილი და ხილნარით დაბურული ეზოები, ლამაზ ჩუქურთმიანი მოაჯირებით დამშვენებული ოდასახლები, ფანჩატურები, საჩრდილობლად ტოტებგაშლილი ცაცხვები და ჭადრები — მიმზიდველსა და მომხიბლავს ხდიან ალავერდს.

ამ სოფელს ახალგაზრდა ქალი ქეთევან მაღრაძე მეთაურობს. ის ერთი წელია მუშაობს ალავერდის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ.

ორი დიდი კოლმეურნეობაა ალავერდში — სერგო ორჯონიკიძის და მიქოიანის სახელობისა. მათ ერთმანეთისაგან წალკოტის ქედი ჰყოფს. მეურნეობის ხასიათით ორივე კოლმეურნეობა ერთნაირია — ვენახი და სიმინდი. ორივე კოლმეურნეობას მრავლად აქვს გაშენებული ციცკა და ცოლიკოური, ორთავეს დიდი მარანი აქვს გამართული. სიმონ ყანჩაველმა, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სწორედ შარშანწინ დაამთავრა მარნის მშენებლობა—ჩაყრილ ქვევრებში სამი ათასი ფუთი ღვინო ეტევა; ომიანობის დროსვე აავო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ დიდი სახლი კანტორისათვის. ამ სახლს ასორმოცდაათადგილიანი დარბაზი აქვს. ერთ ეზოში გამართული ეს სახლი, მარანი, სასიმინდეები და სხვა დამხმარე შენობები კეთილმოწყობილ დაბას მოგვაგონებენ.

ცხრა წელიწადია ხელმძღვანელობს სიმონ ყანჩაველი ამ კოლმეურნეობას. ის და მისი თანამებრძოლები მოსკოვში იყვნენ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ამ კოლმეურნეობის ყურძენმა და ღვინომ ქება დაიმსახურა. ახლო მომავალში, როცა კვლავ გაიხსნება გამოფენის კარი, ისევ სიმონ ყანჩაველი წარუძღვება ალავერდელ კოლმეურნეებს. მათთვის მიკუთვნებულ სტენდზე ისინი დახატავენ თავიანთი კოლმეურნეობის ახლანდელ სურათს: სამმაგად გამრავლებულია ვაზი, გაშენებულია სხვადასხვა ახალი ჯიშის გასაყვანად, უფრო კეთილმოწყობილია და დამშვენებულია სოფელი, მოამრავლეს ხარი და ძროხა.

ასევე წინ მიდიოდა და მძლავრდებოდა მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობა. შარშან ორმოცდაცამეტი ცენტნერი ყურძენი მოჰკრიფეს ერთ ჰექტარზე—ეს სარეკორდო მოსავალია. ააგეს ელსადგური მდინარე ღარიკარზე; კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხეილ ჰანკვეტაძემ განსაკუთრებით შექო გიორგი და შალვა კვანტრიშვილების მუშაობა. შალვა კვანტრიშვილი სამამულო ომის მონაწილეა. ომში მიღებულ ჭრილობათა მოშუშებისთანავე დიდი ხალისით მოჰკიდა ხელი თავის საყვარელ საქმეს. თმგადახდილმა ვაჟკაცმა შრომაშიც თავი ისახელა. მან და მისი ბრიგადის წევრებმა ჯილდო მიიღეს ნაყოფიერი შრომისათვის.

* * *

ბევრია შრომის ოსტატი ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. მარტო ერთი უბანი, ყანჩაველთა უბანი ავიღოთ. არ არის ისეთი ახალგაზრდა და მოხუცი, რომელსაც თავი არ გამოეჩინოს სამამულო ომის დღეებში. კოლმეურნეები ვენახსა და სიმინდის ყანებსაც სანაქებოდ უვლიდნენ, ფრონტზე წასულთა ოჯახებსაც სიყვარულით ეხმარებოდნენ, საბრძოლო იარაღსაც უგზავნიდნენ ომში წასულ თანასოფლელებს.

ოთხმოცდაათი წლის იასონ ყანჩაველიც ხალისით შრომობს ალავერდში. ვენახი უყვარს ბერიკაცს. ახლა ხომ ომიდან დაბრუნებული ვაჟკაცები ამოუდგნენ მხარში. ომის დროს გულზე შემოწოლილი სევდა მოეხსნა, თვალში სინათლე მოემატა, ხმაც უფრო დაეწმინდა და გაზაფხულის ცვარიან დილით გულში ჩამწვდომად გაისმის მისი ღიღინი. თანამოგვარე ჭაბუკების შინდაბრუნებამ გაახალისა ნორჩი გოგონა მერი არსენიშვილი. აბა სცადეთ და თვალი გაუსწორეთ მის სიმარდეს, მის შრომას სიმინდის ყანებსა და ვენახებში... როგორ არ შევაქოთ ცხრამეტი წლის ბრიგადირი ალექსანდრე გოგოლაძე, რომელსაც თვრამეტი ჰექტარი ვენახი ისე აქვს მოვლილი, რომ ავ თვალს არ ენახება! არა, ამ სოფელში არ არის ზარმაცი და უქნარა; ბარაქალა ალავერდელ ქალებსა და ბერიკაცებს, ჭაბუკებსა და ქალიშვილებს...

* * *

— შარშან ამ დროს დღითიდღე ველოდით ომის დამთავრებას.

— ჩვენი სახელოვანი ჯარები ბერლინში იბრძოდნენ. ომის ჭექა-ქუხილი გრძელდებოდა. საზეიმოდ ვინ მოიცლიდა? მე მწამდა ჩვენი გამარჯვება, განა სტალინი გაუმარჯვებელს დასტოვებდა ჩვენს სამშობლოს? როგორც ჩაიწერე, მე ოთხმოცდაათი წლისა ვარ და ოთხმოცდაათი წლის ბერიკაცს განა შეუძლია მოილხინოს, როცა შვილები და შვილიშვილები შორსა ჰყავს! ჩვენი ტიტიკო ყანჩაველი, შალვა სირაძე, ცაცია ყანჩაველისა და ქალა არსენიშვილის ვაჟკაცები ომის ქარცეცხლში იყვნენ გახვეულნი. აბა ჩემი გული როგორ მოილხენდა!...

ისე ლაპარაკობს მოხუცი, თითქოს ერიდება იმ სევდის გამხელა, რომელიც მას გულში ომმა ჩაუსახა.

— ახლა შენი თვალით ხედავ — სხვანაირი ნათელია დაფენილი ალავერდში, სიმღერის ხმა შეუერთდა ღარიკარის ხმაურს, ჩვენი ბიჭები დაგვიბრუნდნენ, ჩვენი სისხლი და ხორცი!

ვენახი? საქონელი? სიმინდის ყანები? გაისად ნახეთ, ერთიორად იქნება გამრავლებული, ჩვენს რაიონს არ შევარცხვენთ ალავერდელები. აბა ერთი გამეჩხერებული ვენახი თუ მოიგულო წელსაც. ხალისიანად შრომობს მთელი სოფელი... გულია, შვილო მთავარი, გული! ამ ქვევრებში დაბინავებულ ღვინოსაც სხვანაირი იერი აქვს, სიმღერაც სხვანაირად წკრიალებს, უფრო მსუბუქად ცეკვავენ ჩვენი გოგო-ბიჭები!

ეს გულმა მოილხინარა, გული მღერის და ცეკვავს გული!

პირველი უშფოთველი მაისი თენდება, ომის დაწყების შემდეგ ჩვენს სამშობლოში, პირველი მშვიდი ვარდობისთვე. უკვე ძალაში შევიდა ჩვენი ქვეყნის აღდგენისა და აღორძინების სტალინური გეგმა. აქ, ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდში, დაუზარელად შრომობენ ამ გეგმის განსახორციელებლად.

იცის ოთხმოცდაათი წლის იასონ ყანჩაველმა, ეს შრომა როგორ ააგებს ახალ-ახალ ქალაქებსა და სოფლებს, რკინიგზებს გაიყვანს თვალუწვდენ ველებზე, გაამრავლებს ქარხნებსა და ფაბრიკებს, ელსადგურებს აღმართავს ჩვენი ქვეყნის მძლავრ მდინარეებზე, მანქანებს გამოგზავნის კოლმეურნეობაში, ახალ და ფართო შარაგზებს გაიყვანს სოფელში.

**ალიო ადამია**

ალავერდი, ზესტაფონის რაიონი.

# შენი ოცნება ასრულდა, რისთვისაც სისხლი ღვარეთ, აყვავდი ჩვენო ქვეყანავ, ილხინე, ქართველთ მხარეო!

## საპირველმაისო საჩუქრები სამშობლოს

### მარგანეცის ტრესტის საუკეთესო მაღარო

ჭიათურა („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). მარგანეცის ტრესტის მაღაროების კოლექტივებმა საპირველმაისო შეჯიბრების პერიოდში შესამჩნევად გააძლიერეს მუშაობა. განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვა ორჯონიკიძის სახელობის მაღარომ (დირექტორი დ. ერგემლიძე), რომელმაც აპრილის საწარმოო დავალება 26 აპრილისათვის შეასრულა. 1 მაისისათვის მაღაროს კოლექტივი თვიური გეგმის გადამეტებით ქვეყანას 3.000-მდე ტონა მარგანეცს აძლევს.

მაღაროში ყველას გაუსწრო იმ უბნის კოლექტივმა, რომელსაც შ. გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობს.

მაღაროელთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდნენ ამხ. მიროტაძე, გურული, კეკენაძე და ყაველაშვილი.

### გამარჯვებული ტყიბულელი მეშახტეები

ტყიბული („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). აქ საპირველმაისო შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა (შახტის უფროსი ლ. რატიანი), ხოლო უბნებს შორის შ. შოთაძის უბნის კოლექტივმა. აპრილის 25 დღეში ამ უბანმა მთელი თვის საწარმოო დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

საპირველმაისო შეჯიბრება გაშლილი იყო არა მარტო შახტებსა და უბნებს შორის, არამედ ცვლებს, ბრიგადებსა და ცალკე მეშახტეებს შორისაც. საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა იმ ცვლამ, რომელსაც ე. ყანჩაველი ხელმძღვანელობს. ამ ცვლამ პირველი ადგილი დაიკავა მთელ ტრესტში.

კარგად იმუშავეს დანარჩენმა ცვლებმა, უბნებმა და შახტებმაც. ტყიბულელი მეშახტეების მტკიცე გადაწყვეტილებაა განაგრძონ საპირველმაისო შეჯიბრების პერიოდში აღებული ტემპებით მუშაობა ტყვარჩელელებთან გამარჯვების მოსაპოვებლად.

### ტყვარჩელელთა წარმატებანი

ტყვარჩელი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდებიან ტყვარჩელელი მეშახტეები მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — პირველ მაისს. ახლა ხდება სადღესასწაულო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება.

პირველობა მოიპოვა მეორე (ახალი) შახტის კოლექტივმა (ხელმძღვანელი ინჟინერი თ. კლოკიდი). შახტმა 30 აპრილისათვის ქვანახშირის მოპოვების თვიური დავალება 130 პროცენტით შეასრულა. უბნებს შორის ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები იმ უბანს აქვს, რომელსაც მ. აგუმავა ხელმძღვანელობს.

სამთო-მოსამზადებელ სამუშაოებს კვლავ წარმატებით ასრულებს ინჟინერ ა. ჭირაქაძის უბნის კოლექტივი. აპრილის საწარმოო დავალება მან ვადაზე ადრე — 25 აპრილისათვის შეასრულა.

ტყვარჩელში მეშახტეთა საპირველმაისო შეჯიბრების წამომწყებად გამოვიდა სტალინის სახელობის შახტის მესამე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი, რომელსაც ამხ. ანდრიუშენკო ხელმძღვანელობს. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში ამ უბნის კოლექტივმა ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მოგვცა. 29 აპრილს მან თვიური გეგმის გადამეტებით რამდენიმე ასი ტონა ქვანახშირი ამოიღო.

1 და 2 მაისს ტყვარჩელელი მეშახტეები სამუშაოდ გამოდიან, რათა სამშობლოს დამატებით მისცენ ქვანახშირით დატვირთული ახალი ეშელონები.

### შეკეთებული ორთქლმავლები

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა (უფროსი ი. ნუცუბიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ი. ლუარსაბოვი) საპირველმაისოდ გეგმის გადამეტებით აწევითი რემონტიდან გამოუშვა 1 ორთქლმავალი, ხოლო გარეცხვითი რემონტიდან 29 ორთქლმავალი.

დეპოში პირველობა მოიპოვა აწევითი რემონტის საამქრომ (უფროსი შ. ხიზანიშვილი). კარგად მუშაობდა აგრეთვე გარეცხვითი შეკეთების საამქრო (უფროსი ამხ. ლეჟავა).

პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში გაიმარჯვეს პ. მაზმიშვილის ზეინკალთა ბრიგადამ, ბ. ხმიადაშვილმა, შ. ნიკოლაიშვილმა და ა. ბერეკაშვილმა. ხარატებიდან პირველობა მოიპოვეს ზ. ბეროზაშვილმა და ა. მაზმიშვილმა, შემდუღებლებს შორის — ვ. პატარქალაშვილმა, ხოლო მჭედლებს შორის — მ. ინდიაშვილმა.



საპირველმაისო დემონსტრაცია ქალაქ თბილისში 1901 წელს ამხანაგ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით. (საქართველოს სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის ფრესკა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში).

## გმირული ბრძოლის ფურცლები

**(45 წელი თბილისის მუშათა საპირველმაისო დემონსტრაციიდან)**

1901 წლის 22 აპრილის (4 მაისის) თბილისის მუშათა საპირველმაისო დემონსტრაცია ითვლება „ისტორიულად ღირსშესანიშნავ დღედ მთელი კავკასიისათვის“,—სწერდა ლენინური „ისკრა“. ამ დღეს დიდი სტალინის მიერ მარქს-ენგელს-ლენინის იდეებით გათვითცნობიერებული საქართველოსა და კავკასიის პროლეტარიატის მოწინავე რაზმი პირველად გამოვიდა პოლიტიკური თავისუფლების მოსაპოვებლად აშკარა ბრძოლისათვის. თბილისში 22 აპრილს გამართული პირველი მაისობით კავკასიის მუშებმა ქვეყანას დაანახვეს, რომ ისინი შეადგენდნენ დიდი რუსეთის ძლევამოსილი პროლეტარიატის განუყოფელ ნაწილს.

* * *

თავისუფლებისმოყვარე ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიაში 1898-1901 წლები წარმოადგენენ შემობრუნების პერიოდს. 1898 წლიდან დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიაში ჩამოყალიბდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომელნიც სათავეში ჩაუდგნენ კავკასიის მშრომელთა ბრძოლას მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

დიდი სტალინის ხელმძღვანელობით თბილისის პროლეტარიატი გაბედულად გამოდიოდა პოლიტიკური მოთხოვნით თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. 1898 წლის დეკემბერში მოხდა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშების, 1899 წელს—თამბაქოს მუშების, ხოლო 1900 წლის იანვარში თბილისის „კონკის“ მუშათა გაფიცვები. 1900 წლის აგვისტოში მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშებმა კვლავ მოაწყეს გაფიცვები, რასაც ქალაქის მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების მუშებიც გამოეხმაურნენ.

1898 წელს თბილისის მოწინავე მუშების ვიწრო წრემ ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაზე იდღესასწაულა პირველი მაისი. 1899 წლის 19 აპრილს 70 მუშა ი. ბ. სტალინისა და ლ. კეცხოველის ხელმძღვანელობით ქალაქგარეთ, ღრმა-ღელის მიდამოებში შეხვდა მუშათა საერთაშორისო დღეს. 1900 წლის 23 აპრილს, მახათის მთის გადაღმა, მლაშე ტბასთან, ხუთასამდე მუშა შეიკრიბა წითელი დროშის გარშემო. მთავარი სახელოსნოების მუშებთან იყვნენ ქალაქის სხვა ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლები, რომლებსაც ბრწყინვალე საპროგრამო სიტყვით მიმართა ი. ბ. სტალინმა. მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ი. ბ. სტალინის მიერ გათვითცნობიერებული მუშები — თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თვალსაჩინო წევრები: ზ. ჩოდრიშვილი, მ. ბოჭორიძე, ვ. სტურუა და სხვები. იქვე გადაწყდა მომავალი მაისობა ქალაქის ცენტრში გაემართათ. „მაისობიდან ვბრუნდებოდით ყოველთვის დარწმუნებულნი ჩვენს მომავალში. აღზნებულნი იმ წყურვილით, როცა აშკარად გამოვიდოდით საჯაროდ“, — სწერდა ერთერთი მუშა იმ დროს არალეგალურად გამოსულ ბროშურაში — „თბილისის მუშათა მოძრაობიდან“.

* * *

ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით 1901 წელს თბილისის ლენინურ-ისკრული ორგანიზაცია შეუდგა მზადებას საპირველმაისო დემონსტრაციისათვის. თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ მიიღო ი. ბ. სტალინის მიერ წარმოდგენილი გეგმა ქალაქის ცენტრში დემონსტრაციის მოსაწყობად. ფართოდ გაიშალა აგიტაცია ფაბრიკა-ქარხნებში, სოციალ-დემოკრატიულ წრეებში. მუშებთან ერთად დემონსტრაციისათვის მოემზადა მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური ნაწილი. ი. ბ. სტალინი და მისი თანამებრძოლნი ა. წულუკიძე, ვ. კურნატოვსკი, გ. თელია, ზ. ჩოდრიშვილი, მ. ბოჭორიძე, ალ. ჯაფარიძე და სხვები ქალაქგარეთ აწყობენ მუშათა კრებებს მაისობის მნიშვნელობისა და დემონსტრაციის მოწყობის თაობაზე. სტალინური პროკლამაციები სისტემატურად გამოდის, უჩვეულო სისწრაფით ვრცელდება მუშათა შორის.

საპირველმაისოდ წითელ დროშაზე მარქსისა და ენგელსის სურათები თბილისის ორგანიზაციის წევრმა ნიკ. მაჭარაძემ დახატა. ლოზუნგები თბილისის ორგანიზაციის წევრმა ქალებმა ამოქარგეს.

მეფის მთავრობამ, რომელმაც უკვე არა ერთხელ იწვნია შეკავშირებულ მუშათა პოლიტიკური ბრძოლის შედეგი, ენერგიული ზომები მიიღო დემონსტრაციის ჩასაშლელად. გააძლიერეს მეთვალყურეობა შემჩნეულ პირებზე. იანვარ-თებერვალში ეგრეთწოდებული „მეეზოვეთა ინსტიტუტი“ შემოიღეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ მეეზოვენი ჟანდარმერიის სასტიკი მეთვალყურეობით ვალდებულნი იყვნენ სისტემატურად მიეწოდებინათ ცნობები მობინადრეებზე. დაიწყო მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრება. „ჟანდარმერიას თავგზა ებნეოდა. არ იცოდნენ როგორ აეცდინათ თავიდან კარზე მომდგარი ქარიშხალი. აპატიმრებდნენ სრულიად განურჩევლად მუშებს, ინტელიგენტებს, მოწაფეებს, მამაკაცებს და ქალებს“, — სწერდა ლენინური „ისკრა“. ციხეები პოლიტიკური პატიმრებით აივსო. 1901 წლის მარტში თბილისის გუბერნატორის მიერ კავკასიის მთავარმართებლისადმი გაგზავნილ მოხსენებაში ნათქვამი იყო: „აუცილებელია ადგილობრივი საპატიმროების გაფართოება პოლიტიკურ პატიმართა დიდი რაოდენობის გამო... ყველა დაპატიმრება კი გამოწვეულია მუშათა საკითხის გამო, მომავალი სერიოზული საპირველმაისო დემონსტრაციის თავიდან ასაცილებლად“. 1901 წლის 21 მარტს დააპატიმრეს ვ. კ. კურნატოვსკი. იმავე დღეს ჟანდარმერია თავს დაესხა ი. ბ. სტალინის ბინას თბილისის ობსერვატორიაში, სადაც იმ დროს ამხანაგი სტალინი მუშაობდა. ი. ბ. სტალინი გადარჩა დაპატიმრებას, ვინაიდან სახლში არ იყო, და ამ დღიდან სავსებით არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა.

ამას აღმოჩნდა მეფის მთავრობის რეპრესიები დემონსტრაციის ჩასაშლელად. თბილისის მუშები ენერგიულად ემზადებოდნენ დიადი დღესასწაულისათვის. „მუშათა ერთადერთმა საკუთარმა დღესასწაულმა მოაღწია. პირველი მაისი კარზე მოგვადგა, — ნათქვამი იყო საპირველმაისო პროკლამაციაში. — მუშებო, ძმებო! ვუთხრათ ჩვენს თავს ის, რაც ვართ. ვუთხრათ, რომ ჩვენ ისტორიამ გვარგუნა ვიყოთ **პოლიტიკური მოღვაწეები** და ამის შეგნება ჩვენი წმინდა მოვალეობაა!“

მოახლოვდა თუ არა პირველი მაისი, მეფის მთავრობამ ქალაქის მიდამოებში დაბანაკებულ ჯარის ნაწილთა მობილიზაცია მოახდინა. მუშათა უბნებში, ფაბრიკა-ქარხნების რაიონებში გაძლიერებული პატრულები ჩააყენეს.

22 აპრილი კვირადღე იყო. გაზაფხულის მზიანი დილა თითქოს ესალმებოდა კაცობრიობის განახლებისათვის გაბედულ მებრძოლთ. დემონსტრაცია დანიშნული იყო „სალდათის ბაზარზე“ (ალექსანდროვის ბაღის კუთხეში). იქიდან ერევნის (ახლანდელ ბერიას) მოედანზე გასულ დემონსტრანტებს შეუერთდებოდნენ თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეები და გაემართებოდნენ მთავარმართებლის რეზიდენციასთან გავლით გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტზე. ქალაქის სხვადასხვა მხრიდან დილიდანვე მოდიოდნენ მუშები „სალდათის ბაზარზე“. მუშებთან იყვნენ მათი ცოლები, დედები, მოსწავლე ახალგაზრდობა. მუშა სანდრო მერაბიშვილის დედა—ელენეს დიდძალი შინდის ჯოხები ჩააბარეს. ბაზრის ერთ კუთხეში მოკალათებული, იგი თითქოს ჯოხებსა ჰყიდდა. სინამდვილეში კი ნაცნობ მუშებს ურიგებდა ყოველი შემთხვევისათვის თავდასაცავად. ამ ჯოხებს „შინდის მურაბა“ დაარქვეს და რამდენიმე წუთში „გაიყიდა“. მეფის მთავრობის მოხელეები, ჯარისკაცები, გადაცმული ჟანდარმები, კაზაკების ქვეითი და ცხენოსანი რაზმები ბაზრის მიდამოებში ირეოდნენ, თითქოს საომარ მდგომარეობაში იყვნენ.

გ. თელიამ დროშა თავისი ტარით წინადღით მიაბარა ბაზარში ნაცნობ მედუქნეს. ი. ბ. სტალინი თანამებრძოლებით დემონსტრაციის ადგილას იყო. „ხალხში მოსჩანდნენ ჩვენი ამხანაგები, — სწერს მოგონებებში მუშა ნ. მაჭარაძე. — აი ჩვენი ამხანაგი რევოლუციონერი მებრძოლი ზაქარია ჩოდრიშვილი. იგი ლაღი სახით მიდიმოდის. მზისუმზირას ტკვერს და თავი ისე მოაქვს, თითქოს ჩამოსული ვინმე იყოს და ბაღის მწვანე სანახაობით ტკბებოდეს. მიხო ბოჭორიძე თავისი ტროსტით ისე დასეირნობს, თითქოს ქალაქის თავი იყოს“...[1]) დაძაბული მდგომარეობაა. მუშები ნიშანს ელიან. „დიახ ამ წუთებში ახალგაზრდა ჯანსაღი მკერდები მეტ ჰაერს იკრებენ, რათა უფრო მძლავრი, უფრო მჭექარე და უფრო გამძლე ყოფილიყო პროტესტის ხმა“.[2]).

გაისმა შუადღის 12 საათის მაუწყებელი ქვემეხის ხმა. ერთბაშად შეიკრიბა 3 ათასამდე კაცი. აფრიალდა დროშა მარქსისა და ენგელსის სურათებით, წარწერით: „მუშებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით!“ „გაუმარჯოს კარზე მომდგარ რევოლუციას!“ დემონსტრანტებს მოკლე სიტყვით მიმართა ზ. ჩოდრიშვილმა. წითელი დროშა ამაყად ფრიალებდა ზღვა ხალხში. „რა დიდებული წუთია! ყველა მუშამ ქუდი მოიხადა და მოწიწებით მიესალმა დროშას, გაისმა ერთსულოვანი შეძახილი: გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას! ასი წლის მანძილზე კავკასიის მწვერვალებმა პირველად გაიგონეს თავისუფლების მოთხოვნა და ჭალარა ყაზბეგმა, გაბრწყინვებულმა გაიმეორა: „თავისუფლება!“[3]) დემონსტრანტები წინ მიიწევდნენ, დროშას მკლავმაგარი მუშების რამდენიმე წყება რკალად იცავდა. ისინი გასცდნენ ალექსანდროვის ბაღის კიდეს და ერევნის მოედნისაკენ გაემართნენ. ჟანდარმერია და ცხენოსანი კაზაკები ეკვეთნენ დემონსტრანტებს. ქალაქის პოლიცმეისტერი თავისი ამალით განკარგულებას იძლეოდა, რადაც უნდა დამჯდარიყო დროშა წაერთმიათ დემონსტრანტებისათვის. განუკითხავად არბევდნენ ყველას. პოლიციელებმა და კაზაკებმა იარაღი მოიშველიეს. ვეფხვებივით იბრძოდნენ მუშები. ამოწვდილი ხმლებით მიესივნენ ჯარისკაცები დემონსტრანტებს. მუშა ლეონტი მამალაძემ სამი ჭრილობა მიიღო, მაგრამ ამხანაგებს არ მოშორებია და საპასუხოდ ორი პოლიციელი დასჭრა. გ. ტატანაშვილს პოლიციელების ხროვა თავს დაესხა, მაგრამ დროშასთან მაინც არავის უშვებდა. 40 წუთს გრძელდებოდა უთანასწორო ბრძოლა. უიარაღო მუშები გმირულად უმკლავდებოდნენ შეიარაღებულ ჯარისკაცებსა და პოლიციელებს. 14 მუშა მძიმედ დაიჭრა, 50-ზე მეტი კაცი დააპატიმრეს. პოლიციელებისაგან გონების დაკარგვამდე ნაცემი მუშები საავადმყოფოს ნაცვლად ფურგონებით წაიყვანეს საპოლიციო უბანში. მთავრობის საქციელით აღშფოთებული მოსახლეობა დემონსტრანტების დასახმარებლად გამორბოდა. 1901 წელს სტუდენტთა მოძრაობის გამო პეტერბურგიდან ადმინისტრაციულად გადმოსახლებული სტუდენტი ქალები და ვაჟები დემონსტრანტებს შეუერთდნენ, ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ მუშებთან ერთად. სემინარიელები ძალით გამოიქცნენ დემონსტრანტების მოსაშველებლად. მიუხედავად მთავრობის სასტიკი ზომებისა, დემონსტრანტებმა შესძლეს საკმაო მანძილის გავლა.

უდიდესი მოვლენა იყო თბილისის პროლეტარიატის ასეთი ორგანიზებული გამოსვლა კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. „მუშათა დემონსტრაცია თბილისში — რუსეთის თვითმპყრობელობის ციტადელის —ქუჩებში დიდ პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენდა და უდიდესი რევოლუციური ზემოქმედება მოახდინა მთელს კავკასიაზე“, — ამბობს ამხანაგი ლ. პ. ბერია.

22 აპრილს დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული მუშები გმირულად იტანდნენ საპყრობილეში მეფის მთავრობის მოხელეთაგან დამცირებას. 6 მუშამ იკისრა დემონსტრაციისათვის მთელი პასუხისმგებლობა. 1902 წლის ბოლომდე გრძელდებოდა ჟანდარმერიის კვლევა-ძიება 22 აპრილის დემონსტრაციის გამო და ბოლოს 6 მუშას ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. 1902 წლის 21 ნოემბერს, გადასახლებულთა გამგზავრების დღეს, თბილისის პროლეტარიატმა რკინიგზის სადგურზე დიდი დემონსტრაცია მოაწყო.

საპირველმაისო დემონსტრაციის შემდეგ ერთიორად გაიზარდა მუშათა მოძრაობა საქართველოსა და კავკასიაში. ახალმა მძლავრმა საგაფიცვო მოძრაობამ მოიცვა თბილისი, ბაქო, ბათუმი. 1901 წელს გამოვიდა პირველი ლენინურ-ისკრული ქართული გაზეთი „ბრძოლა“. იმავე წლის ნოემბერში ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით გაფორმდა თბილისის ლენინურ-ისკრული მიმართულების კომიტეტი.

სტალინური „ბრძოლა“ 22 აპრილის დემონსტრაციის გამო კავკასიის პროლეტარიატს მიმართავდა: „თქვენთან ერთად იბრძვის მთელი რუსეთის მუშა ხალხი. მაშ მეგობრებო! გავუწოდოთ ხელი ჩვენს რუსეთელ მოძმეებს, მათთან ხელჩაკიდებულებმა ერთად მივიტანოთ იერიში საერთო მტერზე“.

ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით კავკასიის პროლეტარიატი დიდ რუს ხალხთან ერთად გმირულად იბრძოდა სოციალიზმისათვის. მან სასახელოდ მიიტანა თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა საბოლოო გამარჯვებამდე.

**ლენა სტურუა**

[1]) კრებული „საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში“. 1901 წ. გვ. 63.

[2]) ბროშურა „თბილისის მუშათა მოძრაობიდან“.

[3]) ბროშურა „თბილისის მუშათა მოძრაობიდან“.

## საპირველმაისო საჩუქრები სამშობლოს

### მეორთქლმავლეებს გაასწრეს მევაგონეებმა

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს მევაგონეებმა. მათ წინ გაუსწრეს მეორთქლმავლეებს. საამქროთა შორის საპირველმაისო შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა საბარგო-ხავაგონო საამქროს კოლექტივმა (უფროსი გ. ბაქრაძე), რომელმაც სადღესასწაულოდ გეგმის გადამეტებით ერთი საბარგო ვაგონი გამოუშვა. ამ საამქროს იმ ბრიგადამ, რომელსაც ს. ფირცხალავა ხელმძღვანელობს, ვაგონების გამოშვების თვიური დავალება 26 აპრილისათვის შეასრულა და პირველ ადგილზე გამოვიდა. ამავე საამქროში პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვეს ზეინკლებს შორის ი. ადამაშვილმა, მღებავებს შორის — უ. ლორთქიფანიძემ, მექვაბეებს შორის — ი. მაჩაიძემ და ვ. ლაზუაშვილმა.

აპრილში შესანიშნავად მუშაობდნენ ქარხნის ცნობილი ადამიანები მჭედლები კ. ილურიძე და ვ. გამხუაშვილი, მექვაბეები—ლ. მარგიშვილი, მ. გეწაძე და ი. ბაბაევი, შემდუღებლები — ს. რაზმაძე, თ. ლორთქიფანიძე და ი. კილაძე, ხარატები—მ. მამაგეიშვილი, ა. ზარდიაშვილი და ა. ერმოლენკო.

### დაზგათმშენებლების მიღწევები

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივი, რომელიც საქართველოს მრეწველობის საწარმოთა შორის საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა, საამაყო მაჩვენებლებით ხვდება 1 მაისს. დაზგათმშენებლებს ნაკისრი ჰქონდათ აპრილის დავალება 107 პროცენტით შესრულებინათ, ფაქტიურად კი 128 პროცენტით შეასრულეს.

საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს მექანიკურმა (უფროსი დ. გოგოლაძე) და ამწყობმა (უფროსი მ. წერომე) საამქროებმა. ორივე ამ საამქროს კოლექტივებმა საპირველმაისოდ ნაკისრი ვალდებულებები 25 აპრილისათვის შეასრულეს.

ამწყობი საამქროს სტახანოველებს შორის შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ ზეინკლები ა. ბენდიანიშვილი, ე. ხვანი, ი. ფირცხალავა, ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი რ. ჭელიძე და ა. შელუგოვი.

მჭედლებს შორის საქარხნო პირველობა მოიპოვა მ. ბიკოვმა, ხოლო ხარატებს შორის—ი. უკოლოვმა.

### კიდევ ორი დაზგა გეგმის გადამეტებით

ქარხანა „დაზგის“ კოლექტივი (დირექტორი ა. ბოკერია) ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა კიროველების მოწოდებას საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ნაკისრი ვალდებულებებიც ერთ-ერთმა პირველმა გაანაღდა. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების აპრილის გეგმა შესრულებულია 120 პროცენტით.

ქარხანაში პირველობა მოიპოვა ამწყობი საამქროს კოლექტივმა (უფროსი გ. სეფერთელაძე).

პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ზეინკლებმა ს. გეჯაძემ, მ. აბუაშვილმა და ახალმოსულმა ზეინკალმა ამხ. მურჯიკნელმა. ხარატებს შორის პირველობა მოიპოვა პ. შჩერბაკოვმა, ლითონმსხმელებს შორის — ი. ივანოვმა.

### მანქანათმშენებელთა სიტყვა და საქმე

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ 30 აპრილისათვის შეასრულა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. ქარხანაში დაწინაურდა სამჭედლო საამქრო (უფროსი ვ. კაპატაძე), რომელმაც აპრილის გეგმა 140 პროცენტით გაანაღდა. მეორე ადგილზეა ქარხნის მექანიკური საამქრო (უფროსი ბ. გრიგორიევი). ამ საამქროს კოლექტივმა აპრილის გეგმა 110 პროცენტით შეასრულა.

პროფესიათა მიხედვით საპირველმაისო შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ მჭედლები ვ. კორძაძე და ვ. მურავიოვი, ხარატები—მ. აკოფოვი და ა. ბალდასაროვი, ზეინკალი ი. ხარგალაძე და შემდუღებელი ე. ხოროშილოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰიტლერულ გერმანიასა და გენერალ ფრანკოს ესპანეთს შორის სამხედრო კავშირის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები

ბერლინისათვის ბრძოლების დროს წითელი არმიის მზვერავმა ორგანოებმა ხელთ იგდეს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის ნაწილი. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროდან წამოღებულ დოკუმენტებში აღმოჩნდა გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ფონ რიბენტროპის მიმოწერა გერმანიის საქმეთა რწმუნებულთან ესპანეთში მოლტკესთან 1943 წელს ესპანეთსა და გერმანიას შორის საიდუმლო სამხედრო ოქმის დადების საკითხზე და პროექტი მადრიდში 1943 წლის 12 თებერვალს ხელმოწერილი საიდუმლო სამხედრო ოქმისა.

ქვემოთ გამოქვეყნებული დოკუმენტები ცხადჰყოფენ, რომ ჰიტლერის თანამზრახველი — გენერალი ფრანკო არა მარტო ფაქტიურად ეხმარებოდა ჰიტლერულ გერმანიას მოკავშირეთა წინააღმდეგ ომში, არამედ იურიდიულადაც გააფორმა 1943 წლის 12 თებერვალს თავისი სამხედრო კავშირი ჰიტლერთან და იკისრა შესაფერის მომენტში გამოსულიყო მოკავშირეთა არმიების წინააღმდეგ. ახლა ძნელი გასაგები როდია, რომ მხოლოდ წითელი არმიის გადამწყვეტმა შეტევამ და მოკავშირეთა არმიების ენერგიულმა მოქმედებამ აფრიკაში და ევროპის კონტინენტზე შესაძლებლობა არ მისცეს ჰიტლერის ამ მოკავშირეს განეხორციელებინა თავისი დანაშაულებრივი გეგმები.

დოკუმენტებიდან ჩანს აგრეთვე, რომ ჰიტლერულ გერმანიასა და ფრანკოს ესპანეთს შორის სამხედრო კავშირი ფაქტიურად არსებობდა დიდი ხნით ადრე, სანამ ხელს მოაწერდნენ საიდუმლო სამხედრო ოქმს, რომელმაც მხოლოდ იურიდიულად გააფორმა ეს კავშირი. მაგალითად, ჯერ კიდევ 1942 წლის შემოდგომაზე ჰიტლერსა და ესპანეთის „ცისფერი დივიზიის" მეთაურს გენერალ მუნიოს გრანდეს შორის მოლაპარაკება სწარმოებდა ესპანეთისათვის გერმანული იარაღისა და საომარი მასალების მიწოდებაზე მათ გამოსაყენებლად მოკავშირეთა წინააღმდეგ ომში.

ქვემოთ ქვეყნდება ტექსტები დეპეშებისა ჰიტლერულ გერმანიასა და ფრანკოს ესპანეთს შორის სამხედრო კავშირის დადების შესახებ და ტექსტი 1943 წლის 12 თებერვალს ხელმოწერილი საიდუმლო სამხედრო ოქმისა.

### დეპეშა

სპეციალური მატარებელი, 1942 წლის 28 დეკემბერი, 20 საათი და 20 წუთი.
მიღებულია: 1942 წლის 28 დეკემბერს 21 საათსა და 10 წუთზე.

შენიშვნა

| | |
|---|---|
| გადაეცა გერმანიის საელჩოს მადრიდში № 5081 | სრულიად საიდუმლოდ პირადად საქმეთა რწმუნებულს |
| ბერლინი, 1942 წ. 29. XII | 24 დეკემბრის № 6846 დეპეშაზე |
| პირადად დაშიფრული დეპეშა | |

თქვენი პირადი, ფრიად საიდუმლო ინფორმაციისათვის გაუწყებთ, რომ ესპანეთის იარაღით მომარაგების საკითხი დიდ როლს ასრულებდა ფიურერისა და გენერალ მუნიოს გრანდეს საუბარში, რაც 13 დეკემბერს შესდგა ფიურერის მთავარ ბანაკში, ესპანეთში გენერლის დაბრუნების წინ. ფიურერმა გენერალს განუცხადა, რომ ჩვენ იარაღს მივაწოდებდით არა მარტო საკმაო რაოდენობით, არამედ საჭირო მაღალი ხარისხისასაც, თუ დარწმუნებული ვიქნებით, რომ ესპანეთი იარაღით ხელში იბრძოლებს ჩვენი მოწინააღმდეგეების შემოჭრის ყოველი ცდისა და ყოველი თავდასხმის წინააღმდეგ, სადაც კი უნდა მოხდეს მტრის გადმოსხმა: ტანჟერში, ესპანეთის მაროკოში თუ კონტინენტზე. სწორედ ასევე ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დარწმუნებული ვიყოთ, რომ ესპანეთი მზადაა ჩაერიოს ბრძოლაში, თუ მოხდება ინგლისელთა და ამერიკელთა მოსალოდნელი გადმოსხმა პორტუგალიაში. ჩვენ თუ ამაში დარწმუნებული არ ვიქნებით, დასანანებელი იქნება ყოველი ზარბაზანი, რამდენადაც მაშინ ჩვენ მოგვიხდება ანგარიში გავუწიოთ არა მარტო იმას, რომ ეს ძვირფასი იარაღი გაგზავნილი იქნება ამაოდ, არამედ იმასაც, რომ იგი სავსებით ჟარგისი სახით შეიძლება ხელში ჩაუვარდეთ ამერიკელებს. ფიურერმა გენერალ მუნიოს გრანდეს სთხოვა გამოარკვიოს ეს საკითხი ესპანეთში და ლოიალურად აცნობოს მას შედეგი. გენერალმა მუნიოს გრანდემ ეს დავალება მიიღო და გვაცნობა, რომ ესპანეთში ჩასვლისთანავე შეატყობინა სახელმწიფოს მეთაურს ფრანკოს ფიურერის თვალსაზრისი.

როგორც ზემოაღნიშნულიდან დაინახავთ, ესპანეთში გერმანული იარაღის მიწოდების განხორციელება ფიურერმა დაუკავშირა გარკვეულ პოლიტიკურ პირობებს. ამის გამო აუცილებელია, რომ ესპანეთის მთავრობამ პირველ რიგში მიიღოს გადაწყვეტილება, მზად არის თუ არა შეასრულოს ეს პირობები, ესე იგი მოგვცემს თუ არა გარანტიას, რომ იარაღით უკუაგდებს მოკავშირეთა ყოველ ცდას. ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, რა გზით გაეცნობება ესპანეთის მთავრობა თავის პოზიციას მუნიოს გრანდეს საშუალებით გადაცემული წინასწარი შეკითხვის შესახებ. ამ საკითხზე, თქვენს გარდა, ინფორმირებული არიან იქაური სამხედრო ატაშეც, აგრეთვე ზონდერფიურერი ჰოფმანი, რომელიც აქ გენერალთან მსახურობდა თარჯიმნად გამოსათხოვარი ვიზიტის დროს, რაც მან გაიკეთა. მე ვთხოვე გენერალს ინფორმაცია გადმომცეს ზონდერფიურერ ჰოფმანის საშუალებით.

საქმის ასეთ ვითარებაში, ჩემი მხრივ გთხოვთ თავი შეიკავოთ და გავლენა არ მოახდინოთ ესპანეთის მთავრობაზე იმ მხრივ, რომ დააჩქაროს გადაწყვეტილების მიღება. გთხოვთ აგრეთვე მოლაპარაკების დროს არ გამოამჟღავნოთ, რომ თქვენ იცნობთ მუნიოს გრანდესთან მომხდარი საუბრის შინაარსს. ესპანეთის მთავრობა თვითონ სავსებით გაითვალისწინებს ამ საქმის დიდ მნიშვნელობას და მას არ უნდა დარჩეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენ გვსურს რაიმე ზეგავლენა მოვახდინოთ მასზე.

თქვენი დეპეშის უკანასკნელი ფრაზის შესახებ მე შევნიშნავ კიდევ, რომ თანახმა ვარ საელჩოს ეკონომიური განყოფილების ხელმძღვანელი ებერლი გამოიგზავნოს მონაწილეობის მისაღებად ბერლინის მომავალ მოლაპარაკებაში იარაღის მიწოდების შესახებ.

რიბენტროპი

### დეპეშა

სრულიად საიდუმლოდ
მადრიდი, 1943 წლის 9 თებერვალი,
0 საათი და 05 წუთი
მიღებულია: 1943 წლის 9 თებერვალს,
1 საათსა და 00 წუთზე
№ 760, 8 თებერვალი
დამატებით დეპეშისა 1-ლის თარიღით,
№ 628

ესპანეთის მთავრობა მზადაა ხელი მოაწეროს საიდუმლო ოქმს შემდეგი ფორმულირებით:

„იმ მომენტში, როდესაც უნდა განხორციელდეს გერმანიის მთავრობის განზრახვა რაც შეიძლება მოკლე ხანში მოამარაგოს ესპანეთის არმია იარაღით, სამხედრო ქონებით და უახლესი გამოშვების მასალებით და საკმაო რაოდენობით, ესპანეთის მთავრობა საიმპერიო მთავრობის შეკითხვაზე აცხადებს, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი წინააღუდგეს ინგლისელთა და ამერიკელთა შეიარაღებული ძალების ყოველ შემოსვლას იბერიის ნახევარკუნძულზე, რაც ნიშნავს, მაშასადამე, ხმელთაშუა ზღვაში, ატლანტიკასა და აფრიკაში, აგრეთვე ესპანეთის პროტექტორატ მაროკოში, და ასეთი შემოსვლა უკუაგდოს თავის განკარგულებაში არსებული ყოველი საშუალებით.

ორივე მხარე კისრულობს სრულიად საიდუმლოდ დაიცვას ეს განცხადება, რომელიც შედგენილია გერმანულ და ესპანურ ენაზე.

მადრიდი, თარიღი, გერმანიის მთავრობის სახელით, ესპანეთის მთავრობის სახელით".

ოქმის დასასრული.

ტექსტის შინაარსის შესახებ ნებას ვაძლევ ჩემს თავს შევნიშნო შემდეგი:

შესავლის ფორმულირება შეესაბამება ესპანელთა სურვილს. ჩემი პირველი პროექტი შეიცავდა მხოლოდ ერთ ზოგადს პირობას იარაღის საწყობების შექმნის შესაძლებლობის შესახებ. მაგრამ ხორდანა მნიშვნელობას აძლევს, რათა ფორმულირებიდან სჩანდეს, რომ ოქმი არის არა დასაწყისი მოლაპარაკებისა, არამედ წინ გადადგმული ნაბიჯი იმ მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც ჩვენ უკვე დავიწყეთ ესპანეთში 10 დეკემბრის ნოტით. რადგან მის მიერ წამოყენებული პირობა შესახებ „განზრახვისა მოვამარაგოთ უახლესი გამოშვების იარაღით და სხვ.... და საკმაო რაოდენობით", შეესაბამებოდა ფიურერის მიერ მუნიოს გრანდესათვის მიცემულ დაპირებას (28 დეკემბრის № 5081 დეპეშა), რამდენადაც ესპანეთის მზადყოფნა თავდაცვისათვის აღარ არის დამოკიდებული ამ დაპირების შესრულებაზე, მე შესაძლებლად დავინახე ეარი მეთქვა საწინააღმდეგო აზრზე.

მოლტკე

### დეპეშა

სრულიად საიდუმლოდ
მადრიდი, 1943 წლის 12 თებერვალი,
22 საათი და 27 წუთი
მიღებულია 1943 წლის 12 თებერვალს
23 საათსა და 50 წუთზე
**12 თებერვლის № 887**
**10 თებერვლის № 601 დეპეშაზე**
საიდუმლო ოქმი ხელმოწერილია დღეს საღამოს
დედანი გამოიგზავნება შიკრიკის ხელით 16 თებერვალს.

მოლტკე

(საკდესი).

## უშიშროების საბჭოში

**ნიუ-იორკი**, 29 აპრილი. (საკდესი). უშიშროების საბჭომ დღევანდელ სხდომაზე მოიწონა ავსტრალიის წარმომადგენლის რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ უშიშროების საბჭომ დანიშნოს ხუთი წევრისაგან შემდგარი ქვეკომიტეტი, რომელმაც უნდა შეაგროვოს „ესპანეთის სიტუაციის" შესახებ შემდგომი ცნობები და წარუდგინოს საბჭოს მოხსენება 31 მაისისათვის.

რეზოლუციის სასარგებლოდ ხმა მისცა საბჭოს 10 წევრმა. საბჭოთა დელეგატმა ამხ. გრომიკომ თავი შეიკავა. ქვეკომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ ავსტრალიის, ბრაზილიის, ჩინეთის, საფრანგეთისა და პოლონეთის წარმომადგენლები.

საბჭომ მოიწონა ლანგეს წინადადება, რომ კომისიის თავმჯდომარედ იყოს ავსტრალიის დელეგატი. შემდეგ აფიფი-ფაშამ გამოაცხადა საბჭოს სხდომა დახურულად მანამდე, სანამ „ჩვენ დღის წესრიგში რაიმე საკითხი არ გვექნებაო".

საბჭოთა დელეგატმა ამხ. გრომიკომ განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია რეზოლუციის ავსტრალიური პროექტისა, მაგრამ თავს შეიკავებს ამ საკითხზე ხმის მიცემისაგან.

## მთავარ იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა მომავალი პროცესი

**ლონდონი**, 29 აპრილი. (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ საერთაშორისო ტრიბუნალმა ტოკიოში გამოაქვეყნა საბრალდებო დასკვნა 28 მთავარ იაპონელ სამხედრო დამნაშავის საქმეზე, რომელთაც ბრალი ედებათ, სხვათაშორის, იმაში, რომ მათ დაიწყეს და აწარმოებდნენ აგრესიულ ომს, იმაში, რომ ისინი ნებას რთავდნენ მასობრივ მკვლელობაზე და სჩადიოდნენ დანაშაულს ჰუმანურობის წინააღმდეგ.

სიაში პირველია გენერალი ტოძიო, რომელიც ახლა სრულიად განიკურნა ჭრილობებისაგან, რაც მან თავის თავს მიაყენა თვითმკვლელობის ცდის დროს. სიაში არის სამი ყოფილი პრემიერ-მინისტრი — ხიროტა, კოისო და ხირანუმა. სიაშია აგრეთვე იაპონიის შტაბის ყოფილი უფროსი ადმირალი ნაგანო.

ბრალდებულთ წაყენებული აქვთ 55 ბრალდება, მათ შორის მოკავშირეთა სამოქალაქო მოსახლეობის დახოცვა პირლ-ჰარბორში, ჰონკონგში, შანხაისა და ფილიპინებზე, მომწამვლავი გაზების გამოყენება ჩინეთში, ოპიუმის გაყიდვა აგრესიისადმი ჩინეთის წინააღმდეგობის შესუსტების მიზნით.

სამხედრო დამნაშავენი სამხედრო ტრიბუნალს უნდა წარუდგნენ 2 მაისს.

## დე ლა როკის სიკვდილი

**ლონდონი**, 29 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო პარიზიდან იუწყება, გუშინ პარიზში გარდაიცვალა პირველი ომამდელი ფაშისტური პარტიის—„საბრძოლო ჯვრების" დამაარსებელი პოლკოვნიკი დე ლა როკი, რომელიც 59 წლისა იყო.

# საბჭოთა საქართველოში



იავნანა
ნახატი ა. თოიძისა. ფოტორეპროდუქცია რ. აკოფოვისა

## ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა სასახლის 5 წლისთავი

ლ. პ. ბერიას ინიციატივით 1941 წლის 2 მაისს გაიხსნა თბილისის პიონერთა სასახლე.

ამ თარიღთან დაკავშირებით ეწყობა პიონერთა სასახლის ყველა კაბინეტის საუკეთესო ნამუშევართა გამოფენა.

2 მაისს სასახლის სამხედრო-სპორტული განყოფილება ჩაატარებს მოსწავლეთა სპორტულ დილას ალლუმით. დღის 1 საათზე ეწყობა საზეიმო სხდომა, რომელზეც მოსმენილი იქნება პიონერთა სასახლის დირექტორის ე. აგლაძის მოხსენება.

საზეიმო სხდომის მხატვრულ განყოფილებაში პიონერთა დრამატიული წრე უჩვენებს სპექტაკლს — „ბაში აჩუკი". შემდეგ გამოვლენ პიონერთა თვითმოქმედი წრეები, ოქტომბრელთა მომღერალი გუნდი, სამხედრო ფიზკულტურელთა ჯგუფი, მეჩონგურეთა წრე.

3 მაისიდან დაიწყება საიუბილეო სესია. ყოველდღიურად მოსმენილი იქნება სასახლის კაბინეტების მოსწავლეთა მოხსენებები ისტორიის, ლიტერატურის, გეოგრაფიის, ქიმიის, ფიზიკისა და სხვა საკითხებზე.



ძველი მეგობრები
ნახატი უ. ჯაფარიძისა, ფოტორეპროდუქცია რ. აკოფოვისა

## მზადება ბოლშევიკური პრესის დღისათვის

ქუთაისში გაჩაღდა მზადება ბოლშევიკური პრესის დღისათვის.

საქალაქო გაზეთის „ინდუსტრიული ქუთაისის" რედაქციაში ძირეული პრესის მუშაკებისათვის ყოველდღიურად ეწყობა ინდივიდუალური კონსულტაციები, საწარმო-დაწესებულებებში იმართება სემინარები.

5 მაისს ჩატარდება ბოლშევიკური პრესის დღისადმი მიძღვნილი საღამო.

მოეწყობა აგრეთვე კედლის გაზეთების საქალაქო გამოფენა. საუკეთესო გაზეთებს მიეცემათ ჯილდოები.

## დიდი მოგებანი

ზესტაფონის რაიონულმა შემნახველმა სალარომ მოაწყო საცნობარო მაგიდები: ისინი დიდ დახმარებას უწევენ მოსახლეობას სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების გასინჯვაში. ბევრ ობლიგაციის მქონეს ხვდა მოგება. მოქალაქე ვ. გველესიანმა მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხის № 026609 ობლიგაციით მოიგო 50.000 მანეთი, ზესტაფონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ქ. არაბიძემ მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის № 040005 ობლიგაციით — 25.000 მანეთი, ხოლო კოლმეურნე ვ. ვარდოსანიძემ მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხის № 025040 ობლიგაციით — 10.200 მანეთი.

## მოკრივეთა შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეები საბჭოთა კავშირის მოწინავე სპორტსმენთა რიგებში დგანან. გასულ წელს, 16 ქალაქის ნაკრები გუნდების შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის 1945 წლის პირველობაზე თბილისის გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა.

ამ დღეებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ჩაატარა რესპუბლიკის საუკეთესო მოკრივეთა შეჯიბრება 1946 წლის პირველობაზე. რესპუბლიკის ჩემპიონის სახელწოდების მოპოვებისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისის მოკრივეთა გუნდები. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 46 მოკრივემ. ორი დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ ფინალში გავიდნენ კალაძე, ხანუკაშვილი, არისტაგოვი, მეძმარიაშვილი, ტუღუში (ბათუმი), ნაბიჭვრიშვილი, მელაძე, მარდუმიანი, ვართანოვი, ძნელაძე, დვალი, ბიძიანი (ბათუმი), თუჯაშვილი, ნავასარდოვი და ტაბატაძე. შეჯიბრება გრძელდება.

## ა ჭ ა რ ა

### კურორტებზე

მალე მუშაობას განაახლებენ აჭარის კურორტები.

თებერვლის დამლევიდან ქობულეთში დაიწყო სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების რემონტი. 150-საწოლიანი კლინიკური სანატორიუმი ავადმყოფებს 1 სექტემბერს მიიღებს. გაიხსნება 100-საწოლიანი საბავშვო სანატორიუმი და 200-საწოლიანი ახალი სანატორიუმი გულისა და ნერვების ავადმყოფობით დაავადებულთათვის.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება კურორტი მახინჯაური. მოწყობილია მინერალური წყლის აბაზანა რევმატიზმიანი ავადმყოფებისათვის. 1 მაისს გაიხსნება 30-საწოლიანი ახალი სანატორიუმი. ძველი სანატორიუმი მუშაობას განაახლებს 1 ივლისიდან.

ქობულეთში, მახინჯაურში, ციხისძირსა და მწვანე კონცხზე 1 ივნისიდან მუშაობა უნდა დაიწყოს სამინისტროთა 20-მდე დასასვენებელმა სახლმა. აჭარის მთავარი საკურორტო სამმართველოს გეგმით წელს განახლდება ზღვის ცხელი საააბაზანოს მუშაობა ბათუმში. იგი ყოველდღიურად მოემსახურება 200-250 ავადმყოფს.

### „ოიდიპოს მეფე"

აჭარის ასს რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრი დასადგმელად ამზადებს სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეს".

პიესის დადგმაზე მუშაობენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ა. ჩხარტიშვილი და შ. ინასარიძე. მეფე ოიდიპოსის როლს შეასრულებენ საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები იუსუფ კობალაძე და მურად ხინიკაძე.

### ქუჩების გამწვანება

წელს ბათუმში დაირგვება 20 ათასზე მეტი პალმა, ქაფურის ხე, დაფნა, იაპონური მუხა, ევკალიპტი, 13 ათასი ტუია, ბუკრუსი, ხვია და 132 ათასი ძირი სხვადასხვა ყვავილოვანი მცენარე.

ლენინისა და სტალინის ქუჩებში უკვე დაირგო 500 პალმა, ლიბკნეხტის ქუჩაზე — 300 დეკორაციული მცენარე, თბილისის ქუჩაზე — 260 ძირი დაფნა. წარმატებით მიმდინარეობს 52 ქუჩისა და 9 სკვერის გამწვანება-კეთილმოწყობა. სამუშაოთა შესრულებაში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ მთავარნავთის ბათუმის სამმართველოს, პურის ქარხნისა და კავშირგაბმულობის საოლქო კანტორის მუშამოსამსახურენი.

### საინტერესო გამოფენა

მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმში (დირექტორი ხ. ახვლედიანი) გახსნილია გამოფენა — „საბჭოთა საქართველოს XXV წელი".

გამოფენა დღემდე 5 ათასამდე კაცმა დაათვალიერა.

## მორიგი მატჩები ფეხბურთში

მაისის პირველ ნახევარში მოსკოვსა და თბილისში ჩატარდება მორიგი კალენდარული მატჩები ფეხბურთში 1946 წლის საკავშირო პირველობაზე.

მოსკოვში 2 და 3 მაისს ითამაშებენ: მოსკოვის „ტორპედო" და „ცდკა", 6 და 7 მაისს — მოსკოვის „სპარტაკი" და „ცდკა", 5 და 6 მაისს —მოსკოვის „დინამო" და „კრილია სოვეტოვ".

თბილისში მორიგ მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან 1 და 2 მაისს: თბილისისა და ლენინგრადის „დინამოს", 5 და 6 მაისს—თბილისისა და მინსკის „დინამოს" გუნდები.

## ტურისტული სეზონის წინ

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1945 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით მუშაობა განაახლა საქართველოს სსრ ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველომ.

საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე წლის 1 ივნისიდან ამოქმედდება 3 ტურისტული მარშრუტი—საქართველოს სამხედრო გზა (ფასანაური—მცხეთა—თბილისი—მწვანე კონცხი), ოსეთის სამხედრო გზა (მოვი—ქუთაისი), სოხუმის სამხედრო გზა (ლატი—ფსირცხა) და 2 რადიალური მარშრუტი — ტებერდა და მწვანე კონცხი.

1946 წლის გეგმით გათვალისწინებულია 9 ათასი ექსკურსანტის მომსახურება.

დამტკიცებულია სათანადო შტატი და ხარჯთაღრიცხვა კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად 1.500.000 მანეთის რაოდენობით. რემონტს საჭიროებენ ტურისტთა სახლები, რომლებიც ომის დროს გამოყენებული იყო სხვა დანიშნულებისათვის.

მიღებულია ზომები, რომ წელს ტურისტული სეზონი საუკეთესოდ ჩატარდეს.

## ოპერის „ამბავი ტარიელისა" საჯარო განხილვა

საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტში მოეწყო სტუდენტობის, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალის შეხვედრა ოპერის — „ამბავი ტარიელისა" — ავტორთან კომპოზიტორ შალვა მშველიძესთან.

მოხსენება ოპერაზე — „ამბავი ტარიელისა" — გააკეთა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა შ. ასლანიშვილმა.

კომპოზიტორმა შ. მშველიძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა რეჟისორმა ა. წუწუნავამ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანდღულაძემ და ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ა. ფალავამ უამბეს აუდიტორიას, თუ როგორ მუშაობდნენ სპექტაკლზე „ამბავი ტარიელისა". მათ აღნიშნეს მთელი რიგი სიძნელეები, რასაც ისინი წააწყდნენ რუსთაველის გენიალური პოემის სახეებზე მუშაობის პროცესში და მოუთხრეს მსმენელთ როგორ გადალახეს ეს დაბრკოლებანი კონსულტანტის — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ ნ. ბერძენიშვილის დახმარებით.

ოპერის — „ამბავი ტარიელისა" — საჯარო განხილვა ილუსტრირებული იყო ოპერიდან ზოგიერთი ადგილის საკონცერტო შესრულებით — რესპუბლიკის სახალხო არტისტების ე. სოხაძის, დ. ანდღულაძის, პ. ამირანაშვილის და კონცერტმეისტერის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ტ. დუნენკოს მონაწილეობით.

## მხატვართა კლუბში

4 მაისს საქართველოს მხატვართა კლუბში (გრიბოედოვის ქ. № 2), საღამოს 9 საათზე, შედგება პროფესორ გ. ჩხიკვაძის მოხსენება თემაზე—„ქართველი ხალხის უძველესი მუსიკალური კულტურა".

შესვლა თავისუფალია.

## ოთხი შვილი

სტალინირის საოლქო საავადმყოფოში კოლმეურნე ბარბალე ბოლოტაევას შეეძინა ოთხი შვილი — ორი ვაჟი და ორი ქალი. ახალშობილნი ჯანსაღები არიან.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი


### თეატრებში

**სახელმწიფო ოპერა** — 1/V—„ბალხისარაის შადრევანი", 2/V—დღისით—„სევილიელი დალაქი", საღამოს—„ევგენი ონეგინი". **რუსთაველის სახელობის**—1/V—„ინსპექტორი მოვიდა", 2/V—დღისით და საღამოს—„ერთი ღამის კომედია". **მარჯანიშვილის სახელობის**—1/V—„შავფერი ჯილდო", 2/V—დღისით—„ფიქრის გორა", საღამოს—„მოკვეთილი". **მუსიკალური კომედიის**—1/V—„მახიობის სიყვარული", 2/V—დღისით—„მზის დაბნელება", საღამოს — „ცუგრუმელა". **სანკულტურის** — 1/V—„ასეც იქნება", 2/V—დღისით—„უნიადაგონი", საღამოს—„ასეც იქნება". **გრიბოედოვის სახელობის**—1/V—„თვითმფრინავი დღე-ღამეს იგვიანებს", 2/V—დღისით და საღამოს—„თვითმფრინავი დღე-ღამეს იგვიანებს". **თოჯინების ქართული**—1/V—„სვანეთის მთებში", 2/V—დღისით—„ბებია დარეჯანის ზღაპრები" და „სვანეთის მთებში", საღამოს — „ალადინის ჯადოსნური ლამპარი".

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის ვაჟთა მე-20 საშუალო სკოლასთან იხსნება უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის

მოსამზადებელი კურსები

პირობების გაგება ყოველდღე საღამოს 9 საათამდე. მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 8 (ყოფილი ბელგიის).

კურსების დირექცია

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ფუნიკულიორის პლატო, ტელეფონი № 3-11-93)
1-2 მაისს **სეზონის გახსნა**
დაწყრილებით აფიშებში
პარკი ღიაა დილის 11 საათიდან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე შემდეგ სპეციალობებში:

| | |
|---|---|
| ქართველურ ენათმეცნიერებაში | 1 ადგილი |
| ლექსიკოლოგიაში | 1 ადგილი |
| ზოგად ენათმეცნიერებაში (ლოგოპედიის სპეციალობით) | 2 ადგილი |

განცხადებები შემოტანილ უნდა იქნას არა უგვიანეს 10 დღისა ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

კონკურსის პირობების გაგება შეიძლება ენის ინსტიტუტში (ძერჟინსკის ქ. № 3, II სართული) სამუშაო დღეებში 9-დან 5½ საათამდე.

დირექცია

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი
1—2 მაისს
სეზონის გახსნა
ხ ა ლ ხ უ რ ი ს ე ი რ ნ ო ბ ა

პარკში — დუდუკი, საზანდარი, ბაიანისტები, მასობრივი გართობა
საღამოს 6 საათზე სასულე ორკესტრი პერვუხინის ხელმძღვანელობით. გამოფენები, სამკითხველოები, სხვადასხვა კიოსკები, კაფე-რესტორანი, საცირკო ატრაქციონი „კაფრინა ამერიკულ ტრამპლინზე"

„ქართული სიმღერები და ცეკვა"
1 მაისს კონცერტი
ქართული სიმღერის და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. კოკელაძის ხელმძღვანელობით.
2 მაისს კონცერტი
დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერის და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით.

9 ს. 30 წუთზე
საცეკვაო მოედანზე ახალგაზრდათა მეჯლისი. „ლეკურისა" და „მთიულურის" საუკეთესოდ შესრულებისათვის ორი ჯილდო
საღამოს 8 საათიდან კინოთეატრში ახალი მხატვრული ფილმი

ბავშვთათვის: დილის 11 საათიდან საბავშვო რკინიგზა, სასულე ორკესტრი პერვუხინის ხელმძღვანელობით, ცეკვა, თამაში, ბაიანისტები, მასობრივი გართობა.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია საზაფხულო ბაღი (პლეხანოვის პროსპ. 123)
1 მაისს საზაფხულო სეზონის გახსნა

**საზაფხულო თეატრი**
1, 2, 3, 4, 5 მაისს ჯაზი ბ. რენსკის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით.
**საზამთრო თეატრი**
1 მაისს ანსამბლი კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით
2 მაისს ანსამბლი ჰ. თარხნიშვილის ხელმძღვანელობით
3 მაისს ანსამბლი ა. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით
4, 5 მაისს საესტრადო კონცერტი
ბაღში უკრავს ჯაზ-ორკესტრი. კონცერტის დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები იყიდება. ბაღი ღიაა საღამოს 7 საათიდან.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3.06-88. განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო —3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამოშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. ზშ 03363